განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, გლდანი. ს/კ: 72.13.47.734 ფართობით 12379 მ^2.

აღნიშნულ ნაკვეთზე იგეგმება ფუნქციური ზონის შესაბამისად ერთ სართულიანი ბეტონის ნაკეთობების ქარხნის დაგეგმარება, სადაც იწარმოება: ბეტონი, ტროტუარის ფილები, ბორდიურები სამშენებლო ბლოკი და ასე შემდეგ.

საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება თბილისის სატრანზიტო შემოსავლელი გზა, საიდანაც ხორციელდება აღნიშნულ ნაკვეთზე შესვლა. საპროექტო ნაკვეთი გზიდან ჩავარდნილია დაახლოებით 9 მეტრით და საპროექტო შენობა-ნაგებობა არ იქნება აღქმადი მთავარი გზიდან. ტერიტორიაზე არ არსებობს ხე-ნარგავები, მხოლოდ თვითნაზარდი ბუჩქებია. პროექტით გათვალისწინებული იქნება ხე-მცენარეების დარგვა კ-3 კოეფიციენტის შესაბამისად და ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საპროექტო შენობა-ნაგებობა ერთ სართულიანია, სადაც განთავსებულია ბეტონის ნაკეთობებისთვის საჭირო დანადგარები, ასევე ადმინისტრაციული ბლოკი. შენობა-ნაგებობა ლითონის სტრუქტურისაა ფერმის გადახურვით, გარე კედლები და სახურავი სენდვიჩპანელისაა.

გენერალური გეგმა
მაშტაბი: 1/500

